თბილისელთა კარგი შანსები

უოტერფორდი. “კილკოჰან პარკის” სტადიონი. 22 ოქტომბერი.

“უოტერფორდი” (ირლანდია) – “დინამო” (თბილისი, სსრ კავშირი) 0:1 (0:0).

“უოტერფორდი”: თომასი, ომაპონი (ფიტცპატრიკი), გარდნერი, ფინიუკარი, დანფი, ჯექსონი, მურეი, მედიგანი, კირკი, მაკარტი (კერი), მიგანი.

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სულაქველიძე, ქორიძე, გუცაევი (ჩელებაძე), ყიფიანი, შენგელია (კერესელიძე).

მსაჯი: ნ. როლსი (ლუქსემბურგი).

გაფრთხილებულია დარასელია.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ამ მატჩის დღეს უოტერფორდში დილიდან გადაუღებლად წვიმდა, საგრძნობლად ციოდა. გუბეებით დაფარულ, ატალახებულ მინდორზე თამაში ჭირდა. ამას გარდა, ეტყობა, მინდორი კარგ ამინდშიც არაა მთლად ხეირიანი, ვინაიდან ეს სტადიონი უპირველესად გათვალისწინებულია ძაღლების დოღისთვის და მერე – ფეხბურთისათვის. თამაშს სულ 3 ათასი მაყურებელი დაესწრო, როგორც მატჩზე დამსწრე “სოვეტსკი სპორტის” კორესპონდენტი ო. კუჩერენკო იუწყება, ძაღლები თვით ფეხბურთელთა შეხვედრის დროსაც გამოირბენდნენ ხოლმე მინდორზე.

ასეთი პირობები უპირველესად თბილისელებს უშლიდა ხელს, არ აძლევდა საშუალებას გამოეყენებინათ დრიბლინგი, სწრაფი მანევრები, შენელებული ტემპი კი ხელსაყრელი იყო მასპინძლებისთვის. აღსანიშნავია “უოტერფორდის” მოთამაშეთა კარგი საბრძოლო მომზადება, მაღალი ოსტატობა თვით თამაშისას. ერთხელ საუკეთესო მომენტი შეექმნა მაკარტის, მაგრამ ვერ გამოიყენა იგი. ასეთივე კარგი შესაძლებლობა მიეცა დარასელიასაც, როცა შენგელიას მიერ დარტყმული ბურთი მოიგერია მეკარე თომასმა. მაგრამ დინამოელმა მიზანს ააცილა ბურთი.

სტუმრები ხშირ კონტრიერიშებს აწარმოებდნენ, ერთ–ერთი ასეთი შეტევისას ფეხი დაიზიანა გუცაევმა, რომლის ნაცვლად მინდორზე გამოვიდა ჩელებაძე.

ხუთიოდე წუთის განახლებული იყო თამაში შესვენების შემდეგ, როცა ჩელებაძემ ბურთი გადასცა შენგელიას, ამ უკანასკნელმა ტექნიკურად ითამაშა და ზუსტად გაიტანა გოლი ირლანდიელთა კარში – 1:0.

“უოტერფორდის” ენერგიულობამ თანდათან იკლო და უპირატესობამ თითქმის მთლიანად დინამოელთა მხარეს გადაინაცვლა. ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობანი მიეცათ ჩელებაძეს, ყიფიანს, შემდგომში ტრავმა მიიღო შენგელიამ. მერე – ყიფიანმაც, მაგრამ იგი მინდორზე დარჩა, ვინაიდან შემცვლელი მოთამაშის გამოყვანა გუნდს აღარ შეეძლო.

ახლა თბილისის დინამოელები 3 ნოემბერს შინ მიიღებენ ირლანდიის “უოტერფორდს”. რა თქმა უნდა სტუმრად მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ჩვენს გუნდს გათამაშების მეოთხედფინალში გასვლის საუკეთესო შანსები აქვს.

“ლელო”, 25 ოქტომბერი, 1980 წ.